სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 **სექტემბერი, 2025 წ.**

ბრძანება N01-02/174

ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025-26 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს **2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის** დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 15 სექტემბრის MES 8 25 0001147896 და MES 7 25 0001155904, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 15 სექტემბრის MES 5 25 0001143356 და 17 სექტემბრის MES 0 25 0001162431, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 15 სექტემბრის MES 8 25 0001148507, MES 7 25 0001148001 და MES 1 25 0001147899, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 15 სექტემბრის MES 2 25 0001147773 და MES 0 25 0001160226, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 16 სექტემბრის MES 8 25 0001155121 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით **გამოცხადდეს ღია კონკურსი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევად,** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად (ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის ვაკანტური სასწავლო კურსები, ლექცია/ჯგუფში მუშაობა, ჩატარების ადგილი, ჩასატარებელი საათების ოდენობა და ჩატარების სემესტრი).
2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტებმა ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარიის) მეშვეობით **მატერიალური სახით უნდა წარმოადგინონ:**
   ა) განცხადება (შევსებული თანდართული ფორმის - **N2 დანართის** შესაბამისად);
   ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
   გ) უმაღლესი განათლების / კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის / დოკუმენტების ასლი / ასლები;
   დ) ავტობიოგრაფია (CV - შევსების თარიღის მითითებით და ხელმოწერილი);
   ე) ფერადი ფოტო (ზომა ¾).
3. **კონკურსის ვადები განისაზღვროს** შემდეგნაირად:
   ა) **საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა** - 2025 წლის **18-19 სექტემბერი,** 10:00-დან 17:00 საათამდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია);

ბ) **კონკურსის ჩატარება** (დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტებთან გასაუბრება / საჭიროების შემთხვევაში საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება, ვაკანტური საათების შესასრულებელი სამუშაო დატვირთვის შესაბამისად) - 2025 წლის **20 სექტემბერი** (კონკურსანტთა სია და გასაუბრების (საჭიროების შემთხვევაში საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება, შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად) ჩატარების დრო და ადგილი კონკურსანტებს ეცნობოს საკონკურსო კომისიების მიერ, ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის (კონკურსების ველის) მეშვეობით, გასაუბრების/საცდელი ლექციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე (დასაშვებია კონკურსანტის CV-ში მითითებულ სატელეფონო ნომერზე შეტყობინება ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინფორმირება);

გ) საკონკურსო კომისიების მიერ **საკონკურსო შედეგების საჯარო გამოცხადება** ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფის მეშვეობით - არაუგვიანეს 2025 წლის **20 სექტემბერი;**

დ) კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღება ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით - 2025 წლის **22 სექტემბერი,** 10:00 საათიდან **15:00 საათამდე;**

ე) კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების (პრეტენზიების) განხილვა და საბოლოო შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით - არაუგვიანეს 2025 წლის **23 სექტემბერი.**

4. კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტებთან **შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2025-2026 სასწავლო წლის ს**ასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამის ფაკულტეტზე პერსონალის მოწვევისა და მათი სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის აქტის გამოცემის შემდეგ (შრომითი ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება მოწვეული პირის სამუშაო დატვირთვის შესაბამისი სემესტრის/სემესტრების ხანგრძლივობის შესაბამისად (**შენიშვნა: დასაშვებია:** ა) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი არ იქნეს მოწვეული შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად, თუკი არ შედგა სტუდენტთა ჯგუფი ან სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა მიზეზით; ბ) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტისათვის შეთავაზებული იქნეს შესაბამისი მიმართულებით სხვა სასწავლო კურსების/სხვა ოდენობის აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის შესრულება, გარდა კონკურსის გამოცხადების აქტში მითითებული სასწავლო კურსებისა).
5. წინამდებარე ბრძანების საფუძველზე შერჩეული და დასაქმებული მოწვეული პერსონალის შრომა ანაზღაურდება საათობრივად, სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის ბრძანებისა და შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 29 სექტემბრის N01-10/112 ბრძანებით განსაზღვრული ტარიფით (ერთი აკადემიური საათი (50 წუთი) - დოქტორის ხარისხის არმქონე სპეციალისტისათვის/მასწავლებლისათვის - 18 ლარით, ხოლო დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტისთვის/უფროსი მასწავლებლისთვის - 20 ლარით).
6. კონკურსის შედეგად შერჩეული და დასაქმებული მოწვეული პერსონალი **(დასაქმებული) ვალდებულია,** მისი შრომითი (აკადემიური) დატვირთვის გათვალისწინებით, **შეასრულოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფუნქციები, მათ შორის:**

ა) ლექციის / პრაქტიკულის / სემინარის /ჯგუფში სამუშაოს / კურაციული / ლაბორატორიული სამუშაოს დაგეგმვა, მომზადება და ჩატარება, დატვირთვის

ბრძანებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით;

ბ) შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება და საგამოცდო ნაშრომების გასწორება;

გ) ბსუ-ს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა, რაც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, შრომითი ხელშეკრულებიდან და ბსუ-ს რეგულაციებიდან, რომლებიც განთავისებულია ბსუ-ს ვებგვერდის ველებში „იურიდიული ცნობარი" და „სტუდენტთა გზამკვლევი" (ბსუ-ს შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", „ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესი", „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი" და სხვა).

7. შეიქმნას **საკონკურსო კომისიები** ფაკულტეტების/დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით წინამდებარე ბრძანების **N3 დანართის** შესაბამისად და დამტკიცდეს მათი მუშაობის თანდართული წესი, წინამდებარე ბრძანების **N4 დანართის შესაბამისად.**
8. ბსუ-ს ფაკულტეტის **დეკანებს** დაევალოს 2025 წლის **25 სექტემბრის** ჩათვლით უზრუნველყონ 2025-2026 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს პერსონალის/ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული პირებისა და გამარჯვებული კონკურსანტების საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა.
9. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება.
10. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე, ხოლო საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) - ამ სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
11. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გიორგი ქათამაძე).
12. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025-26 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N01-02/174 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ვაკანტური სასწავლო კურსები

ბსუ-ს ფაკულტეტების, მათი დარგობრივი დეპარტამენტებისა და 2025-2026 სასწავლო წლის სემესტრების მიხედვით

1. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2025-26 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი, სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	პრაქტიკულის / სემინარის / ჯგუფში სამუშაო / კურაციული / ლაბორატორიული სამუშაო		
სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი **დეპარტამენტი**						
1	სამართალმცოდნეობა / ბაკალავრიატი	საკონსტიტუციო სამართალწარმოება	15	30	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	სამართალმცოდნეობა / ბაკალავრიატი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი		30	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
3	სამართალმცოდნეობა / ბაკალავრიატი	შესავალი კონსტიტუციურ სამართალში		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

4	სამართალმცოდნეობა / ბაკალავრიატი	სანივთო სამართალი		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
5	სამართალმცოდნეობა / ბაკალავრიატი	შესავალი სამოქალაქო სამართალში		30	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
6	სამართალმცოდნეობა / ბაკალავრიატი	სამოქალაქო საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი		30	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
7	სამართალმცოდნეობა / ბაკალავრიატი	სამოქალაქო საპროცესო სამართალი ზოგადი ნაწილი		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე:

№	**ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა** (რომელზეც უნდა შესრულდეს საათობრივი სამუშაო)	**სასწავლო კურსის დასახელება**	**შესასრულებელი საათობრივი სამუშაო დატვირთვა**		**სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი**	**კონკურსანტისათვის განსაზღვრული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები**	**2025-26 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი,** **სამუშაო** (შესრულების) **ადგილი**
			ლექცია	**ჯგ. მუშაობა**			
კომპიუტერული მეცნიერების დარგობრივი დეპარტამენტი							
1	**ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო,, პროგრამაზე**	ბიზნესის საინფორმაციო სისტემები		120	120	მაგისტრის ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებაში, ფიზიკაში ან მათემატიკაში; დარგში მუშაობის გამოცდილება	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტი							
1	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების** ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	,,მათემატიკის სწავლების მეთოდიკა 2“	15	45	60	მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი მათემატიკაში; ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

						მუშაობის გამოცდილება	
2	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების** ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	,,მათემატიკა 2“		60	60	მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი მათემატიკაში; ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი							
1	**სამართალმცოდნეობის** საბაკალავრო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი B1.1/B1.2		90	90	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით	I-II სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**ჰუმანიტარული** მიმართულება	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი A1.1/A1.2		90	90	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით	I-II სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
3	**სტომატოლოგიის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი B1.2		45	45	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით	I სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

4	**აგრარული ტექნოლოგიების** საბაკალავრო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი A1.1/ A1.2		90	90	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით	I-II სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
5	**საჯარო მმართველობის** საბაკალავრო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი B1		120	120	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით	I სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
6	**მშენებლობის** საბაკალავრო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი A1.1/ A1.2		90	90	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით	I-II სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
7	**საერთაშორისო ურთიერთობების" / „ევროპისმცოდნეობის"/ „ტურიზმის** საბაკალავრო პროგრამებზე	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (<u>არჩევითი</u>)		720	720	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით	I-II სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე

№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2025-26 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი, სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	ჯგ. მუშაობა, პრაქტიკა, ლაბორატორიული		
ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**ბიოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	მოლეკულური ბიოლოგია	5	80	85	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**ბიოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	კონსერვაციული ბიოლოგია		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
3	**ბიოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	სასწავლო-საველე პრაქტიკა ბოტანიკაში		16	16	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
4	**ბიოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	რეკრეაციული რესურსების სასწავლო/საველე პრაქტიკა		24	24	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
5	**ბიოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	საბუნებისმეტყველო განათლება მდგრადი განვითარებისთვის	5	40	45	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
6	**ეკოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	მოლეკულური ბიოლოგია ეკოლოგიაში (ლაბორატორიული)		20	20	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

7	**ეკოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	გარემოს დაცვა და კონსერვაცია		30	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
8	**ეკოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	პრაქტიკული კურსი: ფრინველთა იდენტიფიკაცია	5	40	45	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
9	**ბიოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა	ბიომრავალფეროვნება და კონსერვაციის სტრატეგიები		20	20	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
10	**ბიოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა	ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები		20	20	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
11	**ბიოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა	სასწავლო/საველე პრაქტიკა ბიომრავალფეროვნება II		40	40	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
12	**ეკოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა	საწარმოო პრაქტიკა I		24	24	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
13	**ეკოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა	ბიოინფორმატიკა-ბიოსტატისტიკა		13	13	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
14	**ეკოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა	კვლევითი პროექტი		23	23	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
15	**ეკოლოგიის** სამაგისტრო პროგრამა	ეკოლოგია და გენეტიკა		20	20	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
16	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მოდული- ჰომეოსტაზი		18	18	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

17	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	სამედიცინო ინფორმატიკა და ბიოსტატისტიკა	5	34	39	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
18	**სტომატოლოგიის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	სამედიცინო ინფორმატიკა და ბიოსტატისტიკა	5	17	22	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
19	**ფარმაციის** საბაკალავრო პროგრამა	საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიოსტატისტიკის ელემენტებით		22	22	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
ქირურგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მოდული-სუნთქვა (კარდიოპულმონოლოგია და ქირურგია)-პრაქტიკული ქირურგიის მიმართულებით		90	90	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მოდული ოფთალმოლოგია-ოტორინოლარინგოლოგია		26	26	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
3	**ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის** საბაკალავრო პროგრამა	მოძრავი თამაშები		24	24	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
4	**ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის** საბაკალავრო პროგრამა	რაიტთერაპია		20	20	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
შინაგანი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი						

1	**ფარმაციის** საბაკალავრო პროგრამა	ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია		20	20	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**ფარმაციის** საბაკალავრო პროგრამა	ფარმაკოთერაპია	20	80	100	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
3	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მოდული-სუნთქვა (კარდიოპულმოლოგია და ქირურგია)		116	116	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
4	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	კლინიკური ფარმაკოლოგია		184	184	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
5	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	ინტერვენციული კარდიოლოგია		72	72	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
6	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მოდული-პედიატრია (კერძო პედიატრია და ბავშვთა ქირურგია)		118	118	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
7	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	პედიატრია		90	90	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
8	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	ჰეპატოლოგია	9	21	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
9	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მოდული-კვება და მონელება (გასტროენტეროლოგია და ქირურგია)		132	132	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
10	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	გადაუდებელი დახმარება ბავშვთა ასაკში	6	96	102	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი						

1	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მოდული - საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია		50	50	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	ჯანდაცვის პოლიტიკა		45	45	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
3	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	სამეცნიერო კვლევა მედიცინაში, კვლევის დიზაინი		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
4	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მტკიცებითი მედიცინა GCP, კლინიკური კვლევები		45	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
5	**მედიცინის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	მოდული - სუნთქვა (კარდიოპულმონოლოგია და ქირურგია)		90	90	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**ქიმიის** საბაკალავრო პროგრამა	ფარმაცევტული ქიმია 1	25	10 ჯ/მ, 40 სთ ლაბორატორიული	75	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**ქიმიის** საბაკალავრო პროგრამა	ფარმაცევტული ქიმია 2	30	10 ჯ/მ, 40 სთ ლაბორატორიული	80	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						

1	**სტომატოლოგიის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	თავისა და კისრის ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული მიდგომები	5	45	50	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**სტომატოლოგიის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	ქირურგიული სტომატოლოგია		65	65	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
3	**სტომატოლოგიის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	ორთოდონტიის პროპედევტიკა		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
4	**სტომატოლოგიის** ერთსაფეხურიანი პროგრამა	ორთოდონტია		45	45	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2025-26 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი / სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	ჯგ. მუშაობა		
ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**რომანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	იტალიური ენის ინტეგრირებული კურსი B1.1		90	90	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**რომანული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა	იტალიური ენის ინტეგრირებული კურსი B1.2		90	90	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**საუნივერსიტეტო სასწავლო კურსი ისტორიაში**	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	45	45	90	შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**საუნივერსიტეტო სასწავლო კურსი**	ქართული ენის სპეციალური კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები		420	420	შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე:

№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2025-26 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი, სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	ჯგ. მუშაობა		
საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის** სამაგისტრო პროგრამა	გადასახადების აღრიცხვა და ანგარიშგება	5	25	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**აღრიცხვა, აუდიტი დაბეგვრის** სამაგისტრო პროგრამა	ფინანსური აღრიცხვა 2	15	15	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**ფინანსების** საბაკალავრო პროგრამა	ფინანსური ტექნოლოგიების საფუძვლები		45	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
2	**ბიზნესის ადმინისტრირების** საბაკალავრო პროგრამა	ფინანსების საფუძვლები		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	**ბიზნესის ადმინისტრირების** საბაკალავრო პროგრამა	ლოგისტიკა		120	120	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

2	**ბიზნესის ადმინისტრირების** სამაგისტრო პროგრამა	ბიზნეს-რისკების მართვა	20	25	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32

,,ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025-26 სასწავლო წლისათვის
სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი
მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N01-02/174 ბრძანების

დანართი N2

კონკურსანტის განცხადების ფორმა

ბსუ-ს რექტორს, ბატონ ტიტე არაშიძეს
.
.....
(კონკურსანტის სახელი, გვარი)

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს) .....
..... ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის .....
.....

(მიუთითეთ ვაკანტური სასწავლო კურსი (ები))

სასწავლო კურსის წარმართვის მიზნით გამოცხადებულ შესარჩევი პერსონალის ღია კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, *ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და **მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესს“*** და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებაში აღნიშნულ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ბსუ-ს სამართლებრივ აქტებს.

განცხადებას თან ერთვის:
1. პირადობის მოწმობის (ან პასპორტი) ასლი;
2. ფერადი ფოტოსურათი (3/4);
3. CV (შევსებული უახლესი ინფორმაციით და ხელმოწერილი ყოველ გვერდზე);
4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის) სათანადო წესით დამოწმებული ასლი **(შენიშვნა:** განცხადებაში ხაზი გაუსვით შესაბამისი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც თან ერთვის განცხადებას)

კონკურსანტის საკონტაქტო ინფორმაცია:
ფაქტობრივი და რეგისტრაციის მისამართი) .....

ტელეფონი: ----------
ელ.ფოსტა:----------

ხელმოწერა:.....

თარიღი:.....

,,ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025-26 სასწავლო წლისათვის
სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი
მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N01-02/174 ბრძანების

დანართი 3

2025-2026 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი
პერსონალის შესარჩევი კონკურსის

საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

(ბსუ-ს ფაკულტეტების/დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით)

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

საკონკურსო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი ომარ ფარტენაძე - თავმჯდომარე;
2. პროფესორი ირაკლი გორგილაძე - მდივანი;
3. პროფესორი მალხაზ ნაკაშიძე - წევრი;
4. ასისტენტი კახა ფალავანდიშვილი - წევრი.

სააპელაციო კომისია:

1. პროფესორი ლევან ჯაყელი - თავმჯდომარე;
2. ასისტენტ-პროფესორი მადონა თებიძე - მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი გულიკო კაჟაშვილი - წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი გივი აბაშიძე - წევრი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

საკონკურსო კომისია:

1. პროფესორი მაია ბარამიძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი თეა შავლაძე - მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი ივდით დიასამიძე - წევრი;
4. პროფესორი მარინე სიორიძე - წევრი;
5. პროფესორი ჯემალ კარალიძე - წევრი.

სააპელაციო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი თეონა ბერიძე - თავმჯდომარე;
2. პროფესორი მაია კიკვაძე - მდივანი;
3. პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი - წევრი.

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის
საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

კომპიუტერულ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტი:
საკონკურსო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი მიხეილ დონაძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ბერიძე - მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი გულადი ფარტენაძე - წევრი.

ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
საკონკურსო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი ნინო სამნიძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი მედეა დიასამიძე -მდივანი;
3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი - წევრი.

მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტი
საკონკურსო კომისია:

1. პროფესორი დალი მახარაძე - თავმჯდომარე;
2. ასისტენტ-პროფესორი გიული თავდგირიძე-მდივანი.
3. ასოცირებული პროფესორი მზევინარ ბაკურიძე - წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი მაია ძაძამია - წევრი;
5. ასოცირებული პროფესორი რუსლან ცინარიძე - წევრი;

სააპელაციო კომისია:

1. პროფესორი ლელა თურმანიძე-თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე-მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი ნანი მამულაძე-წევრი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

საკონკურსო კომისია:

1. პროფესორი დავით ბარათაშვილი - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ეთერ ჯაყელი - მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი გიორგი ჟღენტი - წევრი;
4. პროფესორი მზია ბაქრაძე - წევრი;
5. პროფესორი მაია ვანიძე- წევრი.

სააპელაციო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი ლალი ჟღენტი-თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ლელა ბერიძე-მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი ინგა დიასამიძე - წევრი;
4. ასისტენტ-პროფესორი თამარ პეშკოვა - წევრი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

საკონკურსო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი ნატო ჯაბნიძე - თავმჯდომარე;
2. პროფესორი ვაჟა ვერულიძე - მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი ირინე თავაძე- წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი ნანული მახარაძე - წევრი.

სააპელაციო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი რამინ ცინარიძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ირმა ჩხაიძე - მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი ია მესხიძე - წევრი;

,,ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025-26 სასწავლო წლისათვის
სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი
მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 17 **სექტემბრის N01-02/**174 **ბრძანების**
დანართი 4

საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) საგანმანათლებლო პროგრამებზე **2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი**ს (ვაკანტური სასწავლო კურსების) წარმართვის მიზნით ღია კონკურსის წესით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის (მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი) შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის რეგულაციას.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა და ფუნქციები

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

2. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება **არანაკლებ 3 წევრით,** მათ შორის კომისიის თავმჯდომარით და კომისიის მდივნით. დასაშვებია **სააპელაციო კომისიის** 2-წევრიანი შემადგენლობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

3. კომისიის ყველა სხდომა არის დახურული და კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

4. კომისიის ფუნქციებია:

ა) კონკურსის პროცედურის ორგანიზება დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) კონკურსანტების განცხადებების განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს კონკურსანტის მიერ საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება (შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად);

გ) სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნა;

დ) კონკურსის შედეგების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისათვის, მისი საჯარო გამოცხადება ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად;

5. კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის მუშაობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, საკონკურსო კომისიის სხდომების დანიშვნა, ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა; სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი; სხდომების წარმართვა კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის საფუძველზე.

6. **კომისიის მდივანმა უნდა უზრუნველყოს**:

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;

ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება და შესაბამისი საოქმო გადაწყვეტილებების ამ წესითა და კონკურსის გამოცხადების სამართლებრივი აქტის შესაბამისად საჯარო გავრცელება;

დ) კონკურსანტების გასაუბრების განრიგის შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება და კონკურსანტების ინფორმირება;

ე) საკონკურსო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის დავალებების შესრულება.

7. **კომისია უფლებამოსილია:**

ა) კონკურსანტს მოსთხოვოს მის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ან სხვა მასალაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების კომისიის მიერ დადგენილ ვადებში წარდგენა;

ბ) კონკურსიდან მოხსნას კონკურსანტი, თუ: წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას; წარმოდგენილი დიპლომი არ შეესაბამება დასაკავებელი თანამდებობის პროფილს ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში კონკურსანტმა არ/ვერ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტები; არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებაზე, ხოლო საკონკურსო კომისიის მიერ მოთხოვნილი საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის (შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად) ჩატარებაზე.

მუხლი 3. კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობა და სხდომის ოქმი

1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრების უმრავლესობა. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.

2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო კომისიის დასკვნას (გადაწყვეტილებას) ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

3. კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს:

ა) სხდომის თარიღი;

ბ) დამსწრეთა შემადგენლობა და დღის წესრიგი;

გ) საკითხის განხილვის მოკლე შინაარსი;

დ) სხდომაზე კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება.

4. შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობა.

5. კომისიის სრული დოკუმენტაცია (კონკურსანტთა განცხადებები და დოკუმენტაცია და ოქმები), კონკურსის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).